ჯეოსელი GEOCELL

08/126
20.05.2008

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2008 წლის 4 აპრილის №189/9-ის გადაწყვეტილების შესაბამისად გამოსაქვეყნებლად გაწვდით შ.პ.ს. "ჯეოსელის" ზემოაღნიშნული გადაწვეტილებით განსაზღვრულ გეოგრაფიულ საზღვრებში საკუთარი ქსელის ტერმინალურ ელემენტებთან დაშვებისა და ურთიერთჩართვის (სატელეფონო ზარების წამოწყება/დასრულების) მომსახურების შეთავაზების წინადადებას, რომელშიც მოცემულია მომსახურების მიწოდების არსებითი პირობები, კერძოდ:

1. შ.პ.ს. "ჯეოსელის" ძირითადი ქსელის საკომუტაციო ტერმინალურ ელემენტებთან დაშვების და ურთიერთჩართვის (სატელეფონო ზარის წამოწყების/დასრულების) მომსახურების მიწოდების მისამართებია:

- ქ. თბილისი, რუსთაველის გამზირი №31.
ამ ურთიერთჩართვის წერტლში ტექნიკური საშუალებების გამოყენებული ინტერფეისის აღწერილობა: SS7 სიგანილიზაცია და G703 ინტერფეისი;

- ქ. თბილისი, ჯიქიას 16.
ამ ურთიერთჩართვის წერტლში ტექნიკური საშუალებების გამოყენებული ინტერფეისის აღწერილობა: SS7 სიგანილიზაცია და G703 ინტერფეისი;

- ქ. ქუთაისი, ჭავჭავაძის 46;
ამ ურთიერთჩართვის წერტლში ტექნიკური საშუალებების გამოყენებული ინტერფეისის აღწერილობა: SS7 სიგანილიზაცია და G703 ინტერფეისი.

2. შ.პ.ს. "ჯეოსელის" ძირითადი ქსელის საკომუტაციო ტერმინალურ ელემენტებთან დაშვების და ურთიერთჩართვის (სატელეფონო ზარის წამოწყების/დასრულების) ტარიფი განისაზღვრა წუთზე 14,8 (თოთხმეტი მთელი რვა მეათედი) თეთრის ოდენობით, დღგ-ს ჩათვლით.

3. ანგარიშსწორების პირობებია:

- ანგარიშსწორება მხარეთა შორის ხორციელდება საანაგრიშსწორებო პერიოდის (კალენდარული ერთი თვე, რომლშიც იყო გაწეული ურთიერთჩართვის მომსახურება) მომდევნო თვის ბოლომდე.

შემოსულია № 6/1022-08
20 05 2008
3 ფურცელი

საქართველო, თბილისი, 0160, მტკვრის მარჯვენა სანაპირო, გოთუას ქ. 3
3, Gotua st., Right Side of River Mtkvari, Tbilisi, 0160, Georgia
Tel.: +995 32 77 01 00, Fax: +995 32 77 01 09 http://www.geocell.com.ge

- შ.პ.ს. "ჯეოსელი" უფლებამოსილია გამოიყენოს ხელშეკრულების უზრუნველყოფის შემდეგი მექანიზმები: წინასწარი ანგარიშსწორება და/ან საბანკო გარანტია.

4. შ.პ.ს. "ჯეოსელის" ძირითადი ქსელის საკომუტაციო ტერმინალურ ელემენტებთან დაშვების და ურთიერთჩართვის (სატელეფონო ზარის წამოწყების/დასრულების) მომსახურების მიწოდებაზე, მსურველი პირისაგან აქცეპტის ან დამატებითი სიმძლავრის გამოყოფის თაობაზე განაცხადი მიიღება წერილობითი ფორმით, შ.პ.ს "ჯეოსელის" სათაო ოფისში (მისამართი: ქ. თბილისი, მტკვრის მარჯვენა სანაპირო, გოთუას ქუჩა №3) და იგი განიხილება შემდეგი პირობების და პროცედურების დაცვით:

გენერალური დირექტორის სახელზე შემოსული წერილი ურთიერთჩართვის მოთხოვნაზე მიეწოდება ურთიერთჩართვის კოორდინატორს, რომელიც შ.პ.ს. "ჯეოსელის" ტექნიკურ, ფინანსურ და მარკეტინგის განყოფილებებთან ერთად 7 სამუშაო დღის განმავლობაში განიხილავს წერილში არსებულ მოთხოვნებს და სპეციფიკაციებს, რის შემდეგ:

ა) თუ ურთიერთჩართვის მსურველი კომპანიის მოთხოვნები შესაბამისობაში აღმოჩნდება შ.პ.ს. "ჯეოსელის" ტეკნიკურ, ფინანსურ, სტრატეგიულ მიმართულებებთან და მოთხოვნებთან, ურთიერთჩართვის კოორდინატორი აკავშირებს ურთიერთჩართვის მსურველისა და შ.პ.ს. "ჯეოსელის" იურიდიულ სამსახურებს, რათა მომზადდეს ურთიერთჩართვის ხელშეკრულება. იურიდიული სამსახურები 3 სამუშაო დღის განმავლობაში ამზადებენ ურთიერთჩართვის ხელშეკრულებას. ამის შემდეგ, ურთიერთჩართვის ხელშეკრულებას ეწერება ხელი შ.პ.ს. "ჯეოსელის" გენერალური და ფინანსური დირექტორების მიერ და იგზავნება ურთიერთჩართვის მსურველ კომპანიაში. მას შემდეგ რაც ურთიერთჩართვის მსურველი კომპანიის მიერ მოეწერება ხელშეკრულებას ხელი და დაუბრუნდება შ.პ.ს. "ჯეოსელს" თავისი პირი, 5 სამუშაო დღის ვადაში ტექნიკური სამსახურების მიერ ხდება ფიზიკური ურთიერთჩართვის განხორციელება და საბილინგო სისტემაში ასახვა.

ბ) თუ ურთიერთჩართვის მსურველი კომპანიის მოთხოვნები შეუსაბამობაში აღმოჩნდება შ.პ.ს. "ჯეოსელის" ტეკნიკურ, ფინანსურ, სტრატეგიულ მიმართულებებთან და მოთხოვნებთან, ურთიერთჩართვის კოორდინატორი ამზადებს საპასუხო წერილს სადაც აღნიშნული იქნება თუ რა მოთხოვნებნია შ.პ.ს "ჯეოსელისათვის" მიუღებელი, რომელიც გენერალური დირექტორის სახელით ეგზავნება ურთიერთჩართვის მსურველ კომპანიას.

5. შ.პ.ს. "ჯეოსელის" ძირითადი ქსელის საკომუნიკაციო ტერმინალურ ელემენტებთან დაშვების და ურთიერთჩართვის (სატელეფონო ზარის წამოწყების/დასრულების) მომსახურების მიწოდების

თაობაზე ხელშეკრულების გაფორმების ვადაა აქცეპტის წარდგენის თარიღიდან 20 (ოცი) კალენდარული დღე.

6. შ.პ.ს. "ჯეოსელის" ძირითადი ქსელის საკომუტაციო ტერმინალურ ელემენტებთან დაშვების და ურთიერთჩართვის მომსახურების მიწოდებისათვის თანალოკაციის ფართი არ გაგვაჩნია.

7. შ.პ.ს. "ჯეოსელის" ძირითადი ქსელის საკომუტაციო ტერმინალურ ელემენტებთან დაშვების და ურთიერთჩართვის (სატელეფონო ზარის წამოწყების/დასრულების) მომსახურების მიწოდებასთან დაკავშირებული დამატებითი სიმძლავრეების გამოყოფა ხდება განაცხადის წარდგენის თარიღიდან 20 (ოცი) კალენდარული დღის განმავლობაში მე-4 პუნქტში აღნიშნული პროცედურების და პირობების დაცვით.

8. მოწვევის ოფერტის მოქმედების ვადაა 6 თვე.

პატივისცემით,

გენერალური დირექტორი ოსმან თურანი